

ომის მონაწილეებზე და დალუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დალუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკვდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას:

- ✓ II მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა თითოეულზე 500 ლარის ოდენობით;
- ✓ II მსოფლიო ომში დალუპულ ოჯახის წევრ მეუღლეზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 200 ლარის ოდენობით;
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და ამავე ომში დალუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების გაცემა 300 ლარის ოდენობით;
- ✓ 2008 წლის აგვისტოს ომში დალუპული მეომრების ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 ლარის ოდენობით;
- ✓ გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 400 ლარის ოდენობით;
- ✓ სადღესასწაულო დღეებში მემორიალებისა და მეომრების საფლავების ყვავილებით შემკობა.

პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ ბენეფიციართა რაოდენობისა და შესაბამისი კოდის შესახებ;
2. „სამშობლოს დაცვისას დალუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის I პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად გარდაცვლილ ვეტერანთა დაკრძალვის თანხის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირიდან შემოსული განცხადებები.